

ბაყაყუბისა

და

თაყუბის

ოში

თარგმანი
ლაჰან ბერძენიშვილისა



ახტიკური
ლიტერატურის
შეფარვა





ბატრახომიომახია

ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა,
შესავალი და კომენტარები დაურთო
ლევან ბერძენიშვილმა




გამომცემლობა
«ლოგოს პრესი»

გამომცემელი
ლაშა ბერაია


© გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2001
© ლევან ბერძენიშვილი, თარგმანი, 2001

ISBN 99928-883-3-4


გამომცემლობა „ლოგოს პრესი“
ი. ჭავჭავაძის გამზირი 13, თბილისი 380079
ტელ. 25-02-58, ელ.ფოსტა logos@caucasus.net



სარჩევი



გამომცემლისაგან	7
შესავალი	9
„ბაყაყებისა და თაგვების ომი“ („ბატრახომიომახია“)	23
კომენტარები	65



გამომცემლისაგან

ძველი ბერძნული პაროდული ეპოსი „ბაყაყებისა და თაგვების ომი“ პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე. მოცემული თარგმანი არის კიდევ ერთი მცდელობა, ჩვენი აზრით, წარმატებული, ძველი ბერძნული ეპიკური საზომის – დაქტილური ჰექსამეტრის თვრამეტმარცვლიანი ლექსით გადმოღებისა.

ეს პატარა წიგნი კიდევ ერთხელ შეახსენებს მკითხველს: სერიოზულიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია. საკმარისია სმენა გავიმახვილოთ და კეთილშობილური ირონიით აღვიჭურვოთ, რომ მავანთა რიზიანი და პომპეზური საუბარი უმაღლესაგნო ყიყინად ან საწყალობელ წრუწუნად ჩაგვესმას...

ლაშა ბერაია


შესავალი





თქვენს წინაშეა ანტიკურობის ერთ-ერთი შედეგრი, მსოფლიო ლიტერატურის ონავარი, ორიათას ხუთასი წლის მხიარული და ფერგაუმკრთალი „ბაყაყებისა და თაგვების ომი“.

ზღაპრულ ხანაში, როდესაც ცხოველები ერთმანეთს ადამიანის ენაზე ელაპარაკებოდნენ, მოხდა გრანდიოზული ომი თაგვებსა და ბაყაყებს შორის, რომელიც თავის ჰომეროსს იმსახურებდა. სწორედ ამიტომ ბერძნებმა იგი „აჩუქეს“ ჰომეროსს, „კიპრიებთან“, „ეთიოპისტან“ და სხვა ქმნილებებთან ერთად მიაწერეს მას „ბაყაყებისა და თაგვების ომიც“, ბერძ-



ნულად „ბატრაზომიომახია“ – მცირე ეპიკური ქმნილება, რომელიც თავისი მოცულობით ჰომეროსისეული „ილიადისა“ თუ „ოდისეას“ რომელიმე ერთ სიმღერასაც ვერ უტოლდება.


ძვ.წ. VII-V საუკუნეებში, საგვარეულო ურთიერთობათა მსხვრევისა და დაშლის პირობებში, ახლადჩამოყალიბებული დემოკრატიის წიაღში იქმნება იმ პეროიკული ეპოსის პაროდია, რომელიც ვეღარ ასახავდა ახალი ეპოქის სულსა და განწყობილებას. ერთ-ერთი ასეთი პაროდიაა „ბაყაყებისა და თავგების ომიც“, რომელიც ჰომეროსს მიეწერებოდა (მაგალითად, ძვ.წ. III ს. ცნობილ ბარელიეფზე „ჰომეროსის აპოთეოზი“ განდმრთობილი გენიოსის ფეხებთან თავვი და ბაყაყი არის გამოსახული).

ამ მინიატურული ეპოსის ავტორად ძირითადად მიიჩნევენ ვინმე პიგრესს, კარიის დედოფალ არტემისიას ძეს (ზოგიერთი ვერსიით, ძმას). მას უნდა ეღვაწა ბერძნულ-სპარსული ომების ეპოქაში, ანუ ძვ.წ. V ს. პირველ მეოთხედში. საკმაოდ სარწმუნო ისტორიული ცნობების მიხედვით, არტემისია ჰალიკარნასელი სალამინის ბრძოლაში თავისი ფლოტით სპარსელების მხარეს იბრძოდა. ამ ცნობებს ადას-




ტურებს ანტიკურობის ისეთი ავტორიტეტიც, როგორცაა პლუტარქე. ამჟამად სწორედ ეს პერიოდი, ძვ.წ. V ს. დასაწყისი მიიჩნევა „ბატრახომიომახიის“ შექმნის ყველაზე უფრო სარწმუნო თარიღად. მიუხედავად ამისა, მეცნიერებაში არსებობს მთელი წყება ვარაუდებისა, რომელთა მიხედვითაც „ბაყაყებისა და თაგვების ომი“ ან ძვ.წ. IV საუკუნეს მიეკუთვნება (ამ დროს ჰალიკარნასოსში მეფობდა სზვა არტემისია), ან სულაც ძვ.წ. III საუკუნეს და ალექსანდრიულ პოეზიას.

„ბატრახომიომახია“ რომ ალექსანდრიული ეპოქის ქმნილება არაა, ამას ბევრი რამ ადასტურებს. უმრავლეს შემთხვევაში, განათლებული ალექსანდრიული პოეზია გაუღენთილია მეცნიერებით, გაჯერებულია ენციკლოპედიური ცოდნით, გადავსებულია მითოლოგიის ინვარიანტული სიმდიდრით, ჩხირკედელა და პედანტური კომენტარიზმით და პოეზიისთვის მომაკვდინებელი ფილოლოგიზმით. „ბატრახომიომახიის“ ერთი გადაკითხვაც საკმარისია, რომ იგი ამ ეპოქას, სულ ცოტა, ორასი წლით მაინც მოვაშორთ. ამავე დროს, უადრესად მნიშვნელოვანია, რომ ამ მცირე პოემაში არსად ჩანს



ალუზიები და მინიშნებები კლასიკურ ტრაგედიასთან, რომელიც ძვ.წ. V ს. შუაგულიდან უმდიდრეს საპაროდო მასალას იძლევა, რითაც შემდგომში ნაყოფიერად ისარგებლა ძველმა ატიკურმა კომედიათმ არისტოფანეს მეთაურობით.

ამრიგად, ბერძნებისა და სპარსელების სამკვდროსასიცოცხლო დაპირისპირებისას ბერძნულ ენაზე იბადება მცირე ზომის პოემა, რომელშიც ლევანდარული და ბუმბერაზი გმირების ადგილს იკავებენ დეპერთიზებული თავგები და ბაყაყები. ბერძნულ-სპარსული ომის კონტექსტი ამ პოემას განსაკუთრებით მნიშვნელოვან – პოლიტიკური პამფლეტის – ფუნქციასაც ანიჭებს, ვინაიდან იგი აქილევსსა და დიომედეზე მეტად თანამედროვე გმირებს, სპარტელ ევრიბიადესა და ათენელ თემისტოკლეს დასცინის: კიდევ ერთხელ ხდება სარწმუნო, რომ ავტორი იმ პოლისის მოქალაქე იყო, რომელიც, რამდენიმე სხვა ბერძნული პოლისისა არ იყოს, სპარსელების მხარეს იბრძოდა – ათენელი და სპარტელი ავტორი საკუთარ ქალაქში ლამის ღმერთებთან გატოლებული მხედართმთავრების ამგვარ დაკნინებას ვერ გაბედავდა.



*

„ბატრახომიომახის“ ფაბულა უაღრესად მარტივი გახლავთ. თაგუნა სახელად *ნამცეციპარია* ძლივს გადაურჩა სინდიოფალას და წყლის დასალევად ჭაობს მიაღვა. აქ იგი ბაყაყების მეფე *ყბადაბერილოსს* შეხვდა და საუბარი გაუბა. ბაყაყმა სტუმარი შინ მიიწვია და ზურგზე შეისვა, რომ სასახლემდე ცურვით მიეყვანა. უჩვეულო მოგზაურობამ გაახალისა თაგვი, მაგრამ სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა.

მოულოდნელად გამოჩნდა გველი. შეშინებულმა ბაყაყმა ჩაყვინთა და ბედის ანაბარა მიატოვა განწირული თაგუნა. საკუთარი ბეწვით დამძიმებული თაგვი იძირება, მაგრამ სიკვდილის წინ ღმერთებს სთხოვს, არ შეარჩინონ მზაკვრობა ბაყაყთა მეფეს. შურისძიება გარდუვალა: ნაპირთან მჯდომმა თაგვთა გუშავმა *მათლაფოლოკოსმა* ყველაფერი დაინახა და უმაღლ ამცნო თაგვებს *ნამცეციპარიას* სიკვდილისა და *ყბადაბერილოსის* სიმუხთლის ამბავი.

თავები იარაღდებიან. თავგთა შეიარაღების ამ-
ბავს გაიგებენ და ბაყაყებიც იარაღდებიან. დედამი-
წაზე წარმოქმნილ ამ მღელვარებას ოლიმპოდან
თვალს ადევნებენ შეშფოთებული ღმერთები, მაგრამ
ათენა პალასის რჩევით, არ ერევიან ომში და მხო-
ლოდ მის მაყურებლებად რჩებიან.

ომმა იფეთქა; თავგები და ბაყაყები საბრძოლო
გმირობისა და თავდადების წარუშლელ მაგალითებს
იძლევიან, გამარჯვების სასწორი ხან ერთ, ხან მეო-
რე მხარეს იხრება, სანამ უმამაცესი და მრისხანე
წრუწუნა ნაჭრიპარიოსი საფრთხეს არ შეუქმნის ბა-
ყაყთა მოღმის თვით არსებობას.

აქ ომში ერევა ზევსი; იგი ბაყაყების დასახმარებ-
ლად ათენას ან არესის გაგზავნას აპირებს, მაგრამ
ომის ღმერთს მიაჩნია, რომ ასეთი დავალება მის
ძალებს აღემატება. ზევსი თავის მთავარ იარაღს -
ელვას მიმართავს, მაგრამ თავგთა მძლავრ შეტევას
ისიც ვეღარ აჩერებს. მაშინ ზევსი თავგებს ახალ
მტრებს - ზღვის კიბოებს მოუვლენს, ისინი აოტებენ
თავგთა ლაშქარს, მზე ჩადის და ომიც წყდება.



*

სულ ესაა „ბატრაზომიომახის“ ფაბულა, რომლის ხაზგასმული სიმარტივე მკვეთრ კონტრასტს ქმნის უბადლო საგმირო დაქტილური ჰექსამეტრით გამართულ, რთული პოეტური ფორმულებით გაჯერებულ და პაროდული პოეტური თუ ისტორიული ალუზიებით დამძიმებულ მონუმენტურ ფორმასთან, რომლითაც ეს მეტისმეტად უბრალო სიუჟეტი იმოსება.

ფორმის თვალსაზრისით „ბატრაზომიომახია“ არის ეპიკურ-საგმირო პოემა, როგორც „ილიადა“ და „ოდისეა“. ამ დიდი პოეზიიდან მან აიღო ყველა ფორმალური ნიშანი – სალექსო საზომით დაწყებული და მუხებისადმი მიმართვით დამთავრებული. ჰომეროსიდანაა აღებული მეომართა სახელები და მათი გენეალოგია, მოქმედი პირების მაღალფარდოვანი სიტყვები, ღმერთების ჩარევა, მითოლოგიური რემინისცენციები, საბრძოლო ეპიზოდების ვრცელი აღწერები და ძეგლის მთელი ლექსიკა – ყველაფერ



ამას უნდა შეექმნა მკითხველისთვის ილუზია, რომ მას ხელთ ჰომეროსის ერთ-ერთი პოემა უპყრია. ავტორი აღწევდა სწორედ ამ მიზანს, ილუზიას; მას აზრადაც არ მოსვლია, ლიტერატურული მისტიფიკაციისთვის მიემართა და პოემა მართლაც ჰომეროსისთვის მიეწერა: ამ შემთხვევაში იგი არც ახსენებდა „მუხლებზე დადებულ პატარა დაფებს“, რომლებზეც ჩაუწერია პოემა¹ (სტრ. 3) და, მით უმეტეს, არავითარ შემთხვევაში არ ახსენებდა მამალს (სტრ. 176), რომელიც საბერძნეთში გამოჩნდა მხოლოდ ძვ.წ. VI საუკუნეში, ანუ ჰომეროსიდან ორასი წლის შემდეგ.² სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს: ავტორმა იმდენად კარგად გაართვა თავი რთულ ამოცანას, რომ მიკროპოემა მაინც ჰომეროსს მიაწერეს, რითაც შთამომავლებმა, ფაქტობრივად, მისი მხატვრული სიმაღლე აღიარეს.

და მაინც, რისი პაროდიაა „ბატრახომიომახია“? ჰომეროსის „ილიადის“? ვინმე პიგრესმა გაბედა და დაამცირა ჰომეროსი? ლიტერატურის ისტორიამ ხომ კარგად იცის, ვინ ვინ არის! სად პიგრესი და სად ჰომეროსი? ძველმა ბერძნებმა ჰომეროსი თითქმის ზეპირად იცოდნენ, „ილიადა“ და „ოდისეა“



მათი მთავარი წიგნები იყო. მაშ, რატომ შეიწყნარეს „ანტიპატრიოტული“ და ანტიჰეროიკული „ბაყაყებისა და თაგვების ომი“? ალბათ იმიტომ, რომ იგი არ ებრძოდა ჰომეროსს, არ აკნინებდა „ილიადას“, არ დასცინოდა აქილევსს; იგი ებრძოდა ჰომეროსის გაფეტიშებას, მის პოეზიაში ცხოვრების ყველა შემთხვევისთვის პასუხის პოვნას, ყველაფერ იმას, რაც ასე მოსწრებულად ამხილა სოკრატემ პლატონის „იონში“. ძველ ბერძნებს რომ დროის მანქანა გამოეგონებინათ და ჰომეროსს რომ თავისი ეპოსის ეს პაროდია წაეკითხა, კაცობრიობა ნამდვილ ჰომეროსულ ხარხარს გაიგონებდა.

ზოგიერთ ჩვენს თანამემამულე ფილოლოგს თუ არ ჩავთვლით³, დანარჩენმა განათლებულმა მსოფლიომ კარგად იცის, რომ სოკრატე არაფერს არ წერდა (სხვათა შორის, ეს ამბავი ბევრს დღემდე აღიზიანებს, მათ შორის, ჩვენს სამშობლოშიც). ასე რომ არ ყოფილიყო, ბერძენი ხალხი „ბაყაყებისა და თაგვების ომს“ უთუოდ სოკრატეს მიაწერდა.



შენიშვნები

¹ ერთადერთ მინიშნებას დამწერლობაზე ჰომეროსთან („ილიადა“, VI, 168-170) ჰომეროსის მკვლევართა უმეტესობა გვიანდელ ჩანართად თვლის. ასეც რომ არ იყოს, პოემის დასაწყისში გრიფელის ან რომელიმე სხვა საწერი დაფის ხსენება ჰომეროსის სტილისთვის სრულიად მიუღებელი თვითწარმოჩენა იქნებოდა.

² მეცნიერების შეფასებით, ქათამი მოშინაურდა 8000 წლის წინ დღევანდელი ტაილანდისა და ვიეტნამის ტერიტორიაზე. იგი დადასტურებულია ჩინეთში ძვ.წ. XV საუკუნეში, ძვ.წ. 600 წ. ბაბილონში და მხოლოდ ამის შემდეგ ძველ ბერძენ ავტორებთან, მაგალითად, არისტოფანესთან.

³ ერთი ქართველი პროფესიონალი ფილოლოგის, აწ გარდაცვლილი დოქტორისა და პროფესორის გამოქვეყნებულ ნაშრომში შავით თეთრზე წერია, რომ ვაჟა-



ფშაველამ გორის სემინარიაში სწავლისას სხვა დიდ ავტორებთან ერთად სოკრატეს თხზულებებიც ღრმად შეისწავლა. ასეა. ჩვენში გენიოსებს ხან გაუნათლებლობას აბრალებენ, ხანაც არარსებული წიგნების წაკითხვას. მთავარია, რომ აბრალებენ.





ბაყაყაბისა და
თაგვაბის მად



ბაბრახმადიმახია






3 ირველად მუხათა დასს შევევედრები,
რომ ჰელიკონიდან
ჩემს სულს მოეახლონ ახლახან შექმნილი
სიმღერის სასმენად -
მუხლებზე დადებულ პატარა დაფებზე
ჩავწერე ამბავი
უცხარეს ბრძოლათა, არესის მქუხარე
საომარ საქმეთა.
5 იმად ვევედრები, რომ ყველა მოკვდავის
ყურს მისწვდეს ამბავი,

ბატრახომიომახია





თუ როგორ დაესხნენ თავგანი გულოვანნი
 ბაყაყებს და როგორ
 ემსგავსნენ ისინი მრისხანე გიგანტებს,
 მიწისგან შობილებს.
 ძველთა გადმოცემით, საქმეს დასაბამი
 ჰქონია ამგვარი:
 წყურვილს გაუტანჯავს კატისგან დევნილი
 თავუნა ოდესღაც;
¹⁰ ჭაობთან მისულა და, გახარებული,
 გამშრალი ტუჩებით
 ხარბად დასცხრომია წყალს, დამტკბარს
 თაფლივით; მაშინ დაუნახავს
 ჭაობის სიტყვაუხვ ბინადარს იგი და
 ასე მიუმართავს:



ბაბრახომიომახია





„ვინა ხარ, სტუმარო? საიდან მოსულხარ?
 ვინა გყავს მშობელი?
 სიმართლე მითხარი ყოველი, ცრუ ვინმეს
 არც ჰგავხარ იერით.

- 15 უკეთუ ღირსეულ მეგობრად შეგიცნობ,
 სახლში მიგიწვევ და
 აღარ დავიშურებ ძვირფასი სტუმრისთვის
 შესაფერ საჩუქრებს.
 გახლავარ ხელმწიფე შაადაბაერილოსი,
 რომელსაც ჭათობში
 პატივს მომაგებენ ნიადაგ ბაყაყნი,
 ვითარცა წინამძღოლს.
 მე მშვეს ტალახავსა და წყლის დედოფალმა,
 ოდეს სიყვარულით

ბატრახომიონასია





20 შეერწყნენ ერთმანეთს კბოდიან ნაპირთან
 ერიდანოსისა.
 ცხადია, სხვებისგან ხარ გამორჩეული,
 ლალი და მამაცი,
 ხელმწიფე ბრძანდები კვერთხისმკყრობელი
 და ომებში ნაწრთობი.
 ახლა შენც მითხარი, შენს წარმოშობაზეც
 მარქვი ყოველივე“.
 მაშინ უპასუხა ნამცვეციაარიამ

და აგრე ეზრახა:
 25 „რისთვისღა დაეძებ ჩემს წარმომავლობას?
 ცხადია ყველასთვის –
 ნამცვეციაარიად მიხმობენ, გახლავარ
 ძე კურისმღრღნელისა,



ბატრახომიომახია





მორჭმული მამისა, ხოლო დედაჩემი,
 დოლაპოლოკია,
 ბრძანდება ასული შაშხილოკოსისა,
 მძლავრი მეუფისა;
 მან ქოსში მშობა და თავად გამომზარდა
 ძვირფასი საკვებით,
³⁰ თხილით და კაკლით და ლედვით და მისთანა
 ნუგბარი ხორავით.
 მეგობრად როგორღა გამიხდი, ბუნებით
 ეგზომ განსხვავებულს?
 შენ წყალში ბინადრობ, მე დასაბამიდან
 ხმელეთის მკვიდრი ვარ;
 შენ ჭაობს ნატრულობ, მე კაცთ სამყოფელში
 ღრღნასა ვარ ჩვეული,

ბატონო მოიგახია





ვერ გადამირჩება ფუნთუშა ჰური და
 კალათში ჩაყრილი
³⁵ ქუნჯუთის ღვეზელი მოგრძო, გემრიელი
 და ყუათიანი,
 ან შაშხის ნაჭერი, ან ღვიძლი ამო და
 თეთრქიტონიანი,
 ან ყველი ჭყინტი და ყველი სანაქებო,
 მსუყე რძე რომ დასდის,
 ან ის თაფლის კვერი, რომელსაც ნეტარნიც
 არ დაიწუნებდნენ,
 ანდა მზარეულნი რასაც ამზადებენ
 ხოლმე ნადიმისთვის:
⁴⁰ სურნელოვანი და ნუგბარი კერძები
 უხვი საკმაზებით.



ბაბრახომიომახია





რა მაჭმევს თქვენს ბოლოკს, გოგრას და
 კომბოსტოს, ღმერთმა დამიფაროს!
 მე ვერ შევეწყობი უგემურ ნიახურს,
 ან პრასას საძაგელს,
 თქვენ კი, ჭაობელებს, სწორედ ეგენი გაქვთ
 სარჩოდ და საკვებად“.

მაშინ გაუღიმა ყბადაბერილოსმა

და უთხრა პასუხად:

⁴⁵ „გატყობ, უცხოელო, საკვების ამბავი
 გადარდებს ძალიან;
 მაგრამ სანახავი სხვაც ბევრი რამაა
 ხმელსა თუ ჭაობში,
 ჩვენ კი კრონიონმა ორმაგი ბუნება
 მოგვაგო ოდითგან:

ბატრახომიომახია





ხმელეთზე დავხტივართ და ამასთანავე
 ვცურავთ წყლის სიღრმეში.
 უკეთუ ისურვებ შენ ამის შესწავლას,
 იოლი რამაა.

⁵⁰ ზურგზე შემომაჯექი, კარგად ჩამეჭიდე,
 რომ არ ჩამოვარდე,
 ასე მხიარულად მივიდეთ ორივე
 ჩემს სრა-სასახლესთან“.
 ამგვარად ეუბნა, ზურგიც შეუშვირა;
 შესკუბდა თაგვი და
 უმაღვე თათები ბაყაყის რბილ კისერს
 ნასკვად შემოაჭდო.
 ჯერ კი გაიხარა, როს ნავსაყუდელნი
 ნახა სიახლოვეს,




ბატრახომიომახია





საზარლად კვნესოდა, საბრალოს შიშისგან
 სისხლი გაჰყინვოდა.
 და როგორც ოდესლაც ტრფობით ატანილი
 ხარი მიაპობდა
 ზვირთებს და ზურგით კი ევროპე მიჰყავდა
 კრუტის ნაპირისკენ,
⁶⁵ ასევე მიჰყავდა ამუამად თავუნა
 ზურგზე შემოსმული
 ბაყაყს და ტალღებში მწვანედ გამოკრთოდა
 იმისი სხეული.
 ანაზდად გამოჩნდა გველი. ორივესთვის
 იყო საზარელი
 ურჩხულის დანახვა. ყალყზე შემართული
 მოჰქროდა იმათკენ.


ბაბრახოვიოვახია





იმავეწამს ჩაყვინთა შაადააბერილოსა,
 არც კი უფიქრია,
⁷⁰ როგორი ძმობილი გაწირა უღმერთოდ,
 ჭირში მიატოვა;
 თავად კი ჩაეშვა ჭაობის სიღრმეში,
 სიკვდილს გადაურჩა.
 მართოდ დაშთენილი თავვი კი გულჩაღმა
 ჩაეშვა ზვირთებში,
 ხელებს იმტვრევდა და სვეგამწარებული
 ძლივსლა წრიბინებდა.
 მრავალგზის ჩაყვინთა და
 ფართხალ-ფართხალით ისევ ამოყვინთა,
⁷⁵ მაგრამ განწირული ველარსად გაექცა
 მსახვრალ ბედისწერას -

ბაბრახოშიომახია





სიღრმისკენ წაიღო წყლით დამძიმებულმა
 ბეწვმა საკუთარმა;
 ოღონდ დაღუპვამდე ამგვარი სიტყვების
 წარმოთქმა მოასწრო:
 „არ დაიმალება, ყადაგაბერილოსო,
 შენი ვერაგობა,
 მაღალი ზურგიდან, როგორც მწვერვალიდან,
 ისე გადმომაგდე!
⁸⁰ ხმელეთზე ვერაფრით აღმემატებოდი,
 ო, უბოროტესო,
 ვერც პანკრატიონში, ვერც ჭიდაობაში
 და ვერცა სირბილში;
 მაგრამ შენ მზაკვრულად აქ შემომიტყუე!
 ღმერთნი მოგიზღავენ



ბაბრახომიომახია





სამაგიეროს და ვერ დაუმალე
 ლაშქარს თავგებისას!
 თქვა და დაიღუპა მძვინვარე ტალღებში.
 იგი დაინახა
⁸⁵ ნაპირთან, მაღლობზე მჯდომარე გუშაგმა,
 მათლაჯალოკოსა.
 შექყვირა საზარლად, გაიქცა და თავგებს
 ამცნო ყოველივე.
 რა ესმათ ამბავი, უმაღ დაეუფლათ
 რისხვა შემზარავი,
 უმაღვე თავიანთ ეჯიბებს უბრძანეს,
 რომ განთიადისას
 კრება მოეწვიათ სრა-სახლთან ხელმწიფის,
 მძლე კურისაჲრღნელისა,

ბატრახომიომახია





⁹⁰ დაღუპულ ვაჟკაცის უბედურ მამისა.
ამ დროს უფლისწული

ნამცვეციპარია ჭაობში ლპებოდა
და მისი ცხედარი

შორს, შორს ნაპირიდან, თვალუწვდენ
სივრცეში მიჰქონდა დინებას.

ინათა თუ არა, შემოკრბნენ ყველანი.

პირველი წამოდგა

მძლავრი კურისმღრღნელი, ძის გამო


მჭმუნვარე და სიტყვა წარმოთქვა:

⁹⁵ „ვაგლახ, მეგობრებო, მარტო მე რამდენი
რამ გადამხდენია

ამ ბაყაყებისგან, ახლა უარესი

ჭირი მომისართეს!

ბაბრახოიომახია





რა უბედური ვარ! სამივე ვაჟკაცი
 წამართვა სიკვდილმა!
 ჯერ იყო, უფროსი გავიდა სოროდან,
 არ დაბრუნებულა,
 კატამ შეიწირა დიად თაგვთა მოდგმის
 მტერმა უძინარმა.
¹⁰⁰ მერმე შუათანაც მოკლეს გულბოროტმა
 ადამიანებმა,
 ოდეს ვერაგულად ააგეს ხისაგან
 დიდი საოცრება,
 მზაკვრული მანქანა, თაგვთა შემმუსრველი
 ბნელი ხაფანგოსი.
 შემრჩა უმრწემესი, იმედად ჩემად და
 უტკბესი დედისად

ბატონო იოანე





და ისიც დამიხრჩო შადაბაჰრილოსა

ჭაობის სიღრმეში!

¹⁰⁵ მაშ, შევიარაღდეთ და ჩვენს დამაქცევართ
დავეცეთ სასწრაფოდ!

უნდა შევიჭურვოთ უცხოელ ნაკეთები
აბჯრებით, მოძმენო!"

თქვა და დაარწმუნა, აბჯარი აესხა
სასწრაფოდ სუყველას.

რაც ნამცეცობაზე სერობის სუფრისა
ლობიო გადარჩათ,

რვალზე უმტკიცესი იმისი პარკები
დიდად გამოადგათ,

¹¹⁰ მჭიდროდ მიიმაგრეს და საბარკულებად
იხმეის გმირებმა.



ბაბრახომიომახია





აბჯარი კი ჰქონდათ გამძლე ტყავისაგან
 ლერწმით შეკერილი
 (ეს ტყავი ოდესღაც მტერს, კატას გააძვრეს
 დიდი ხელოვნებით).
 ფარად იფარებდნენ სანათის შუაწრეს,
 შუბს წარმოადგენდა
 ვეება მახათი, სრულადრვალიანი
 არესის ქმნილება;

¹¹⁵ზოლო მუზარადად თხილის ნაჭუჭები
 მოირგეს თაგვებმა.

ასე აღიჭურვნენ გმირნი უმძლავრესნი.
 როდესაც შეიტყვეს
 ესე ბაყაყებმა, წყლიდან ამოყვინთეს,
 გუნდად შეიკრიბნენ

ბაბრახოშიოვახია





და ბჭობა-ყიყინი გამართეს სასტიკი
 ომის თაობაზე.
 სანამ გაარკვევდნენ ისინი, საიდან
 ელოდათ თავდასხმა,
¹²⁰ ანაზღად თავგუთაგან მოვიდა შიკრიკი,
 მპყრობელი კვერთხისა,
 ძოთანაჲროჲიოსი, ძე დიდგულოვანი
 სულგუნემოსრემისა,
 მან ამცნო ბოროტი ამბავი ომისა ყველას
 და ეზრახა:
 „ბაყაყნო! თავგები გემუქრებიან და
 მე აქ გამოგზავნეს,
 შეურაცხმყოფელნი საზარელ ბრძოლაში
 რომ გამოგიწვიოთ.



ბაბრახოჲიოჲახია





¹²⁵ ნამდვილად შევიტყვეთ, ნამცვიციაარია
 როგორ მოაკვდინა
 მაგ თქვენმა ხელმწიფემ, ჭადაბარილოსმა.
 საომრად მოვიხმობთ,
 ვინც გამორჩეულ და მამაც მებრძოლებად
 იშვით ბაყაყებში!“
 ჯიქურ მიახალა, სიტყვა კი გაფრინდა,
 ყველას ყურს მისწვდა და
 ფრიად აღაშფოთა დაუმორჩილებელ
 ბაყაყთა გულები.

¹³⁰ ჭადაბარილოსმა ეს უთხრა ბაყაყებს
 და დააშოშმინა:
 „მეყარნო გულოვანნო! თაგვი არ მომიკლავს
 და არც დამინახავს,

ბაბრახომიომახია





როგორ დაიღუპა. თავად თუ დაიხრჩო
 წყალში თამაშისას,
 როდესაც ცურვაში გვბაძავდა ბაყაყებს;
 ახლა კი ბოროტი
 მტრები მე მკიცხავენ, უდანაშაულოს.
 უნდა მოვიფიქროთ,
¹³⁵ ხერხი რამ ვიხმაროთ, როგორმე მზაკრულად
 დავღუპოთ თავგვები.
 ჯერ იმას გამცნობდით, ჩემი მოსაზრებით
 რაც უმჯობესია:
 სწრაფად განვეშალოთ და აბჯარასხმულნი
 განვლაგდეთ ყველანი
 მაღალ კბოდეებთან, იქ, სადაც ნაპირი
 ციტაბოდ ეშვება.




ბატრახომიომახია





ოდეს დაეწყობა სპა-ჯარი მტრისა და
 ჩვენსკენ დაიდრება,
¹⁴⁰ ვაცადოთ, პირისპირ მოვიდნენ და მერმე
 ავართვათ ჩაჩქანნი,
 შემდგომ კი ერთბაშად ჭაობში ჩავყაროთ
 ყველანი უკლებლივ;
 იქ ჩაიხრჩობიან, რამეთუ არიან
 ცურვის უმეცარნი.
 ჩვენ კი მხიარული ყიყინით აღვმართოთ
 სვეტი გამარჯვების!“
 თქვა და დაარწმუნა, აბჯარი აესხა
 სასწრაფოდ სუყველას.
¹⁴⁵ ჯერ საბარკულებად იხმარეს მაგარი
 ფოთლები ბალბისა,

ბატრახოვიოვანია





აჩვენა ფიცხელი ომი და სიქველე
 მეომარ ვაჟკაცთა,
 სიმრავლე ლაშქართა, ბასრ და უზარმაზარ
 შუბთა ელვარება;
¹⁵⁵ იხილეს ლომგულნი, მსგავსნი კენტავრთა და
 მძლეთამძლე გიგანტთა;
 კრონიდს გაეღიმა, იკითხა: „ვინა ხართ
 მყვართა მეგობარნი?
 თაგვთა განსაცდელზე გული ვის შესტკივა?“
 ეზრაბა ათენას:
 „ასულო, ეგებ შენ მღრღნელთა დასაცავად
 გინდა გაემართო?
 შენი ტაძრების ქვეშ ცხოვრობენ ისინი
 და იქ წრიპინებენ

ბაბრახომიომახია





¹⁶⁰ ცხიმისთვის, ზეთისთვის, სხვა
სასუსნავისთვის შენი მაღლიერნი“.
ეს ბრძანა უფალმა. მამას კი მიუგო

ათენა პალასმა:

„მეუფევ, მე თაგვებს, თუნდ სული
სძვრებოდეთ, არ დავებმარები,
რამეთუ მაგათგან მრავალი სიავე

მახსოვს რაზანია:

გვირგვინებს მიღრღნიან და ზეთსაც
ლოკავენ ჩემი ლამპარიდან.

¹⁶⁵ ეს აღარ მაკმარეს, გული სულ მომიკლეს,
როდესაც აზღაზან

მზაკვრულად დაფლითეს ძვირფასი პეპლოსი,
რომელიც მოვქსოვე



ბატრახომიომახია





დიდი რუდუნებით ფაქიზი ქსელით და
წვრილი მისაქსელით;
მაგათ დამიჭამეს, თერძი კი მომდგა და
შეკეთებისათვის
იმდენი მომთხოვა, ვერც ერთი უკვდავი
რომ ვერ გადაიხდის.

¹⁷⁰ მაფიც ნასესხები მქონდა და ეს ვალიც
ვეღარ გავისტუმრე.
გული არ შემტკივა არც ბაყაყებზე და
ხელს არ გავუმართავ,
ორგულნი არიან და ფიცის გამტეხნი.
აგერ, ამასწინათ,
ომიდან მოვბრუნდი, სიმართლე
რომ გითხრათ, მეტად მოვიქანცე.

ბაბრახომიომახია





ძილი მერეოდა და მყრალი ყიყინით
 აღარ მომასვენეს,
¹⁷⁵ თვალიც ვერ მოვხუჭე, ვიწექი დაღლილი,
 თავი მისკდებოდა,
 ასე გავიტანჯე, სანამ განთიადი
 არ მამცნო მამალმა.
 თავი შევიკავოთ, ღმერთებო, და ნურც ერთს
 ნუ დავეხმარებით,
 ვინმე არ დაგვიჭრან ხელჩართულ
 ბრძოლაში ისრით წამახულით.
 სასტიკნი მებრძოლნი თვით მაღალ
 ღმერთსაც კი არ ეპუებიან.
¹⁸⁰ სჯობს ყველამ ზეციდან ვუყუროთ ბრძოლას
 და სისხლით გავიხართ“.



ბაბრახოშიოვახია





ეს ბრძანა ათენამ და სხვა ღვთაებანიც
 სწრაფად დაემოწმენ,
 ერთად შეიყარნენ, მოძებნეს ზეცაში
 უსაფრთხო აღგილი.

ჩაჰბერეს ნალარებს მძლავრად კოლოებმა
 და უმაღლ გაისმა
 ზეციდან საზარი ქუხილი ომისა,

როდესაც იჭექა

¹⁸⁵ კრონიდმა ზევსმა და ეგ იყო ნიშანი

ბოროტი ბრძოლისა.

პირველმა გატყორცნა შუბი მჭამაროსმა

და იგი შიგ მკერდში

ამგერა ლოკიას, რომელიც თაგვების

ლაშქარს მოუძლოდა;

ბატრახომიომახია





დაეცა პირჩაღმა და ბეწვი სათუთი
 მტკვერში ამოგანგლა.
 და მერმე გულმკერდში აძგერა ლახვარი
 მამაცმა სოროსმა
¹⁹⁰ ღვთაებრივ ტალახვსს, იგიც განგმირული
 დაეცა მოწყვეტით
 და შავმა სიკვდილმა მიიღო, სული კი
 გაფრინდა ხორციდან.
 ჭარხლევსმაც შიგ გულში მოარტყა ისარი
 მძლე ქოთანდროიოსს,
 ხოლო ჰურჭამევსმა მუცელში ატაკა
 მახვილი ჭიჭინევსს,
 დაეცა ვაჟკაცი და სული გვაშიდან
 უმაღ ამოფრინდა.



ბატრახომიომახია





¹⁹⁵ ოდეს მყრალგუბევესმა იხილა საზარი
 ბედი მეგობრისა,
 დაასწრო სოროსს და პირბასრი მახვილით
 ყელი გამოლადრა,
 მას კი ჩაკვეთვესმა უმაღვე უსწორა
 შუბი მოელვარე,
 სტყორცნა გამალებით და ღვიძლში გაურჭო
 წვერმახი ჰოროლი;
 ამ დროს შეამჩნია კოვბოსტოჭამოსი
 და ხევში გადახტა;
²⁰⁰ როდი გაურბოდა მასთან შეტაკებას,
 მარჯვე წამს ელოდა.
 მაგრამ გადაქანდა იგი ანაზლად და
 კბოდეს მიენარცხა

ბაბრახოვიომახია





და მთელი ჭაობი უეცრად მეწამულ
 სისხლით შეიღება.
 ჭაოვსმა კბოდესთან აჰყარა აბჯარი
 მამაც ყველიჭამივსს;
 შაჰსევსმა იხილა მისკენ მომავალი
 გულმხეცი პიტნევისი,
²⁰⁵ გაიქცა, ჭაობში ისკუპა, ფარი კი
 დააგდო ლაჩრულად.
 მთხრელოსს მზე ჩაუქრო
 მტერთმაოტებელმა ტალას შიგდებოსმა,
 კეფაში უხეთქა ლოდი უდიდესი;
 ტვინმა გადმოხეთქა
 ნესტოებიდან და მთელი არემარე
 სისხლით მოითხვარა.



ბატრახოვიროვასია





მათლავალოკოსმა შუბით შეუტია

ტალახ შიგდგოსს და

²¹⁰ განგშირა, მოკლულს კი თვალეში წყვდიადი
ჩაუდგა უეცრად.

პრასმვსმა იხილა ვაჟკაცის სიკვდილი
და მკვლეელი იმისი

წყალში ჩაითრია, ყელში ჩააფრინდა,
მოგუდა ჭაობში.

მას არ შეარჩინა მეგობრის მოშთობა
ლუკმაპარიოსმა,

ესროლა პოროლი და ზუსტად მოარტყა
შიგ შუა გულ-ღვიძლში.

²¹⁵ დაეცა პრასმვსნი, სული კი უმაღვე
ჰადესს გაეშურა.

ბატრახომიომახია





კომპოსტომაველოსმა ველარ აიტანა
 მეგობრის დაღუპვა,
 მკვლელს მუჭით ტალახი
 ესროლა თვალებში, ლამის დააბრმავა,
 მაგრამ მან მრისხანედ დაავლო ვეება
 ხელი უზარმაზარ
 ლოდს, ველზე რომ ეგდო, და იგი ესროლა,
 საზარი შხუილით.

²²⁰ გაიჭრა ლოდი და კომპოსტომაველოსსაც
 მუხლი დაუღეწა,
 თავად ვაჟკაცი კი პირადმა დაეცა
 მტვერსა და ბრელოში.
 უცებ მყივარიდმა აოტა მტერი და
 აძგერა საშინლად



ბაბრახოშიოვასია





პირბასრი ლერწამი ფაშვის შუაგულში
 და შიგ გაუტარა
 სასტიკი მარჯვენით, მერმე გამოჰქანა
 მძლავრი ჰორთლი და
²²⁵ მთელი შიგნეული გპირისა მიწაზე
 დაცვივდა, გაცივდა.
 მერმე პურიმღრღნელმა ტერფი დაუღუნა
 მძლავრ შაბადაბერილოსს,
 კოჭლობით გაექცა იგი შეტაკებას,
 სასტიკად გვემული,
 თხრილში გადაეშვა, სურდა გაქცეოდა
 აღსასრულს უცაბედს;
 ოდეს პურიმღრღნელმა იხილა სიკვდილის
 პირად დავარდნილი,

ბატრახომიომახია





²³⁰ მცველნი შეუმუსრნა, მეფეს კი აძგერა
 მახვილი ლერწამი;
 ხორცი გაიგლიჯა, წვერი კი ლახვისა
 შიგ ჩარჩა მომაკვდავს.
 მკვლელსაც დაულეწა ვეება ჩაჩქანი
 ლომმა ობაღვესაა,
 სასტიკი რისხვით და გმირული სიქველით
 არესის მეტოქემ,
 გულმამაც მყვართაგან ბრძოლას
 ერთადერთი შემორჩა რომელიც.
²³⁵ ერთბაშად დაიძრა ლაშქარი მისკენ და
 როგორ დაუცდიდა
 მძლავრ თაგვებს, ადგა და საჩქაროდ ჩაყვინთა
 ჭაობის სიდრმეში.



ბატრახომიომახია





თავთავან სიქველით გამოირჩეოდა
 ნაჭრიპარიოსი,
 გულადი მებრძოლი, ძე უბრწყინვალესი
 კურისაჯრავსისა;
 ის იმუქრებოდა, სრულად ამოვწყვეტო
 მოდგმას ბაყაყების.
²⁴⁰ მახვილი დაჰკრა და შუაზე გააპო
 ნაჭუჭი თხილისა,
 მისგან გაიკეთა ლერწამშეუვალი
 ელვარე აბჯარი
 და განრისხებული ზვიადად დაიძრა
 ბაყაყთა ლაშქრისკენ.
 თავზარი დაეცათ, ადგნენ და ჭაობში
 ისკუპეს იმათაც.

ბატრახომიომახია






ნაჭრიპარიოსი არ დააყოვნებდა
 სიტყვის აღსრულებას,
²⁴⁵ რომ არ ყოფილიყო ზევსი – მოკვდავთა და
 უკვდავთა მშობელი;
 გარნა შეიწყალა საბრალო ბაყაყნი
 მაღალმა კრონიდმა,
 თავი გააქნია და მერმე ასეთი
 სიტყვები წარმოთქვა:
 „ვაგლახ! საოცრებას ხედავენ თვალები,
 უთუოდ წარვწყდებით,
 სუყველას ამოწყვეტს ნაჭრიპარიოსი,
 რომელიც ჭაობთან
²⁵⁰ უპირებს ბაყაყებს გაუუჟვას; ახლავე
 გავგზავნოთ დამხმარედ



ბაბრახომიომახია





ხმახაფი პალასი, გულადი მებრძოლი,
 ან თავად არესი,
 მაგათ შეუძლიათ მხოლოდ, შეაჩერონ
 მრისხანე წრუწუნა.“

ეს ბრძანა კრონიდმა, ჰერამ კი უმაღვე
 მიუგო პასუხად:
 „ვიშიშვი, უფალო, რომ ვერც ათენა და
 ვერც თავად არესი
²⁵⁵ ვერ გამოიხსნიან საბრალო ბაყაყებს
 ნაღდი დალუპვისგან.
 ან უნდა წავიდეთ ყველანი საშველად,
 ან შენი ლახვარი
 უნდა ამოქმედდეს, მას ძალუძს მარტოდენ
 მისი დაოკება.

ბატრახომიომახია





²⁶⁵ მაგრამ გონს მოეგნენ მამაცი თავგები,
 უფროის მოეცათ
 იმედი შუბოსან ბაყაყთა მძლეთამძლე
 მოდგმის გაწყვეტისა;
 მაგრამ ოლიმპოდან ისევ შეიბრალა
 ზევსმა ბაყაყები
 და მათ, განწირულებს, ახლა მოუვლინა
 დამხმარედ ურჩხულნი.
 ანაზდად გამოჩნდნენ საცეცებდახრილნი
 და ზურგჯავშნიანნი,
²⁷⁰ პირმაკრატიანნი და კანბაკნიანნი
 და გან-გან მავალნი,
 მკერდით მომზირალნი, ფეხმრუდნი,
 ძვლოვანნი, ზურგმოელვარენი,

ბატრახომიომახია





ბაგეძარღვიანნი, ბეჭებგანიერნი
 და მრჩობლთავიანნი,
 მთლად უხელონი და რვა-რვა ფეხასხმულნი,
 რომელთაც უხმობენ
 კირჩხიბად! - კულები დააღრღნეს იმავეწამს
 თავგებს კიბობმა
²⁷⁵ და მერმე ხელებს და ფეხებსაც მიადგნენ...
 გაცუდნენ შუბები,
 შიშმა აიტანა ლაჩარნი თავენი და
 აღარ მოიცადეს,
 სივლტოლად მიიქცნენ, ამ დროს კი ანაზდად
 მზეც ჩაესვენა და
 მაშინ ერთდღიანი ომიც საზარელი
 გასრულდა უეცრად.





ბაბრახოშიოგანია




ქმადნობა





ატრაზომიომახიის“ ავტორად რამდენიმე წყარო ასახელებს პიერეს ჰალიკარნასელს. პოემაში პაროდირებულია „ილიადის“ შინაარსი და სტილი, ხოლო პაროდის მასალა პოეტს ალბულის აქვს ძველი ხალხური ჟანრიდან, „ცხოველური ეპოსიდან“.

როგორც ჰომეროსის პოემაში, აქაც მოთხრობილია ომის ამბავი. ჰომეროსთან იბრძვიან ხალხები, ხოლო პიერესთან თავგები და ბაყაყები. იქ თავის ვაჟკაცობას ავლენენ აქილევსი, დიომედე, ჰექტორი, ოდისევსი, აიანტი და სხვა გმირები, აქ კი საომრად გამოდიან ნაჭრიპარიოსი, მჭექაროსი, სოროსი, ჭარხლევსი... იქ მრისხანებენ და ორატორობენ აქაველთა ბელადი აგამემნონი, დარდანელთა ბელადი ჰექტორი, აქ კი პურისმღრღნელი ალაგზნებს თავგებს და ბაყაყთა უზენაესი გმირი და მეფე ყბადაბერილოსი - ბაყაყებს...



სტრ. 1. *ჰელიკონი* – საშუალო სიმაღლის მთები დას. ბეოტიაში; მიჩნეული იყო მუზათა სამშობლოდ და ამიტომ ამ ქალღმერთებს ჰელიკონიადებიც ეწოდებოდათ. ჰელიკონზე მითიური ცხენის, პეგასოსის წიხლის დაკვრით აღმოცენდა ჰიპოკრენეს წყარო, რომელშიც მუზები ტანს განიბანდნენ.

მუზათა დასი – ცხრა მუზა, რომელთაც ბერძენი პოეტები, განსაკუთრებით კი ეპიკოსები, მიმართავდნენ პოემის დასაწყისში და აღმაფრენას თხოვდნენ. ასე იწყება „ილიადა“ („რისხვას უმღერე, ქალღმერთო...“) და „ოდისეა“ („მრავალგამოცდილ კაცზე მიაძმე, მუზავ...“).

სტრ. 3. „*პატარა დაფებზე...*“ – იგულისხმება ცვილით დაფარული პატარა დაფები, რომლებსაც საწერად იყენებდნენ. წერდნენ სპეციალური გრიფელით (*stylus*), რომელსაც ცალი ბოლო წამახული ჰქონდა – საწერად, ხოლო მეორე ბოლო სქელი – წასაშლელად.

სტრ 4. *არესი* (მით.) – ომის ღმერთი, ზევსისა და ჰერას ძე.


სტრ. 7. *გიგანტები* (მით.) – ვეებერთელა, ძრწოლის-მომგვრელი გოლიათები, რომლებიც გეამ (დედამიწამ) შვა სისხლის იმ წვეთებისგან, სამყაროს პირველი მბრძანებლის, ზეცის მეუფის, ურანოსის დასაჭურისები-

სას რომ დაიდვარა. სამყაროს ახალი გამგებლით, ზევსით უკმაყოფილო ამბოხებული გიგანტები ოლიმპიელმა ღმერთებმა და ზევსის ძემ, ჰერაკლემ დაამარცხეს, რისთვისაც ჰერაკლეს უკვდავება მიენიჭა.

სტრ. 9. კატა - ორიგინალშია ყაღი - სინდიოფალა. ბერძნებს კატები არ ჰყოლიათ. მათ ფუნქციას მოშინაურებული სინდიოფალები ასრულებდნენ. ტრადიციულად, ყაღი-ს აქაც და სხვა ნაწარმოებებშიც, როგორც წესი, კატად თარგმნიან.

სტრ. 19. ტალახევისი - ორიგინალში სიტყვათა თამაშია, რაც აგებულია სიტყვა Πηλᾶς-ის ორგვარ გააზრებაზე: 1. პელევსი, მამა აქილევსისა და 2. ტალახევისი - სიტყვიდან Πηλᾶς - ტალახი. ავტორს, როგორც ჩანს, სურს მიგვანიშნოს, რომ პელევს-ტალახევისის ძე, ბაყაყთა ძლევა მოსილი ხელმწიფე ყბადაბერილოსი „ბაყაყებისა და თავგვების ომში“ იმავე რანგის პერსონაჟია, როგორც „ილიადაში“ აქილევსი, პელევსის ძე.

სტრ. 20. კრიდანოსი - მითოსური მდინარე, რომელიც ჰესიოდეს მიხედვით, ოკეანეში ჩაედინება; შემდგომში გაუიგივეს მდინარე პადუსს (მდ. პო დღევანდელ იტალიაში).




სტრ. 25-43 – კომიკურადაა პაროდირებული გლაგკეს პასუხი დიომედესადმი („ილიადა“ VI, სტრ. 145-211).

სტრ. 35. *ქუნჯუთი* (თῆμαρ) – აღმოსავლური მცენარეა. მისი ზეთისგან სანელებელი მზადდება, ხოლო თვით მცენარისგან ძვირფასი ზეთი. *ქუნჯუთის ღვეზელი* – უსისხლო შესაწირავი. სამსხვერპლო ცხოველი თუ არ ჰყავდათ, ამ ღვეზელს იმ ცხოველის ფორმას აძლევდნენ, რომელიც უნდა შეეწირათ; ღმერთები შეიწყნარებდნენ ამგვარ საქციელს.

სტრ. 47. *კრონიონი* ან *კრონიდი* – ზევსი, კრონოსის ძე.

სტრ. 63 და შმდგ. – ბერძნული ლევანდის მიხედვით, ფინიკიის მეფის, აგენორისა და ტელეფასას ქალიშვილს, ევროპეს, ზევსი თვინიერი თეთრი ხარის სახით გამოეცხადა სანაპიროზე. ზღვაში შეიტყუა და გაიტაცა კუნძულ კრეტაზე. აქ ბაყაყი გროტესკულადაა შედარებული უზენაეს ღვთაებასთან, ზევსთან.

სტრ. 81-82 – მკვლელისთვის მოახლოებული დაღუპვის წინასწარმეტყველება ჰომეროსის საყვარელი მხატვრული ხერხია. მაგალითად, ასე უწინასწარმეტყველათავის მკვლელს, ჰექტორს მოახლოებული სიკვდილი პატროკლემ:



პრიამოსის ძევ, დიდი ხნის სიცოცხლე არ დაგრჩენია:
ყოელის შემძლე ბედისწერა და სიკვდილი უკვე მოგიახლოვდნენ,
მაღე დაეცემი ეაკოსის უმანკო შვილიშვილის ხელით.

„ილიადა“, XVI, 852-854.

სტრ. 81. პანკრატიონი - სპორტის ანტიკური სახეობა, რომელიც ოლიმპიურ პროგრამაში შეიტანეს ძვ.წ. 648 წელს. იგი აერთიანებდა ჭიდაობისა და კრივის ელემენტებს და მასში ნებადართული იყო მუშტით, ფეხით, იდაყვით და მუხლით დარტყმები, ასევე გდება და ე.წ. მახრჩობელა ილეთები, ხოლო კბენა და ფხაჭნა აკრძალული იყო. ასპარეზობის ხანგრძლივობა განუსაზღვრელი იყო და იგი მთავრდებოდა ან ერთ-ერთი მხარის ნებაყოფლობითი დანებების, ან ბრძოლის გაგრძელების შეუძლებლობის გამო.

სტრ. 97 - პაროდირებულია პრიამოსის გოდება აქილეუსის მიერ მისი ვაჟის, ჰექტორის მოკვლის გამო „ილიადაში“:

რამდენი შვილი მომიკლა სასტიკმა!
მაგრამ, ვდარღობ რა ყველაზე, არაუისზე ისე მწარედ არ ვგოდებ,
როვორც ამ ერთზე...

„ილიადა“, XXII, 423-425.

სტრ. 99 - იხ. სტრ. 9-ს კომენტარი.

სტრ. 101-102 - ტროას ცხენის აღუზია.



სტრ. 108 – მხიარული პაროდია საგმირო ეპოსის იმ ადგილებზე, სადაც გმირთა აღჭურვილობაა აღწერილი.

სტრ. 120. „მპყრობელი კვერთხისა...“ – კვერთხი სამეფო და სამხედართმთავრო ძალაუფლების ჩვეულებრივი სიმბოლოა; ჰომეროსთან კვერთხი უპყრიათ ქურუმებსა და კრებაზე გამოსულ ორატორებს; მტრის ელჩის ან შიკრიკის ხელში კი კვერთხს იგივე მნიშვნელობა ენიჭებოდა, რაც ახალ დროში მიენიჭა ელჩების რწმუნების სიგელებს.

სტრ. 152. „ვარსკვლავებანთებულ ზეცაზე...“ – ეპიკურ პოეზიაში ეპითეტი ჩვეულებრივ მიემაგრება ამა თუ იმ სიტყვას და არ სცილდება მას, თუნდაც სიტუაციურად ასე იყოს საჭირო. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია ზეცაზე და მას მიმაგრებული აქვს ეპითეტი ვარსკვლავებანთებული, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება აშკარად დღისით მიმდინარეობს. მსგავსი შემთხვევები დადასტურებულია ჰომეროსთანაც (იხ. „ილიადა“ IV, 44; V, 769; VIII, 46; XV, 371; XIX, 128, 130 და „ოდისეა“, IX, 527; XII, 380; XX, 113).

სტრ. 155. კენტავრები – ჰომეროსის მიხედვით, მეომარი მთიელი ტომი თესალიაში; პოეტი პინდარე (ძვ.წ. 518 – 442 ან 438) მათ წარმოგვიდგენს ნახევრად ადამიანებად, ნახევრად ცხენებად. უძველეს ბერძნულ ხელოვნებად, ნახევრად ცხენებად. უძველეს ბერძნულ ხელოვნებად, ნახევრად ცხენებად.



ნებაში წარმოღვენილი იყვნენ სრული ადამიანის სახით, რომელსაც მიღებული ჰქონდა ცხენის ტანი.

სტრ. 157. ათენა, ასევე ათენა პალასი - მარადქალწული ქალღმერთი, ზევსის ასული. მითის მიხედვით, ღმერთების მეფემ გადასანსლა თავისი ორსული მეუღლე, ოკეანიდი მეტიისი. ჰეფესტომ უროთი გაუტეხა ზევსს თავი და ქვეყნიერებას მოეველინა ათენა სრული საბრძოლო აღჭურვილობით.

სტრ. 166. პეპლოსი - კაბის სახეობა. ათენელი ქალები სადღესასწაულოდ უქსოვდნენ პეპლოსს ათენა პალასს.

სტრ. 215. პადესი - საიქიოს პირქუში მეფისა და მისი სამფლობელოს სახელი.

სტრ. 253. ჰერა - უზენაესი ქალღმერთი, ღმერთების დედოფალი, კრონოსისა და რეას ასული; დემეტრეს, პადესის, პესტიას, პოსეიდონისა და ზევსის და, ზევსის მეუღლე.

სტრ. 258. კაპანევსი (მით.) - ერთ-ერთი თებეზე მოლაშქრე შვიდ გმირთაგან. ლაშქრობისას დაიკვება, ქალაქს თვით ზევსიც ვერ იხსნიდაო. განრისხებულმა ღმერთმა ელვით დაფერფლა იგი, როცა ქალაქის გალავანზე გადადიოდა.



სტრ. 259. ენკელადოსი - გეასა და ტარტაროსის ვაჟი, რომელიც მოკლა ზევსმა.

სტრ. 261. ოლიმპო (ოლიმპოსი) - მთა ჩრდ. საბერძნეთში, მითების მიხედვით, ზევსისა და სხვა ღმერთების საუფლო, რის გამოც მათ ოლიმპიელები ეწოდებათ.

სტრ. 277. „მზეც ჩაესვენა...“ - მზის ჩასვენება ჰომეროსთან გაცხარებულ ბრძოლასაც წყვეტდა. „ბატრახომიომახიის“ დასასრული ეხმიანება ჰომეროსის „ილიადის“ VIII სიმღერის „შეწყვეტილ ბრძოლას“.





«თქვენს წინაშეა ანტიკურობის ერთ-ერთი შედეგი, მსოფლიო ლიტერატურის ონავარი, ორიათას ხუთასი წლის მხიარული და ფერგაუმკრთალი „ბაყაყებისა და თავგების ომი“.

ზღაპრულ ხანაში, როდესაც ცხოველები ერთმანეთს ადამიანის ენაზე ელაპარაკებოდნენ, მოხდა გრანდიოზული ომი თავგებსა და ბაყაყებს შორის, რომელიც თავის ჰომეროსს იმსახურებდა. სწორედ ამიტომ ბერძნებმა იგი „აჩუქეს“ ჰომეროსს, „კვირიებთან“, „ეთიოპისტან“ და სხვა ქმნილებებთან ერთად მიაწერეს მას „ბაყაყებისა და თავგების ომიც“, ბერძნულად „ბატრახომიომახია“...» (ლ. ბერძენიშვილი)

პაროდული ხასიათის ეს მცირე ეპიკური ქმნილება პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე.



გამომცემლობა
«ლოგოს პრესი»

ISBN 99928-883-3-4



9 789992 888339